თითოეული ნომერი ჟურნალისა ყველგან 10 კ.




№ 29.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 21 ენკენისთვე

# ქართული თეატრი

დღეს იწყება ქართ. დრამ. საზოგ. დასის ოც-
დამეხუთმეტე სეზონი. წარმოდგენილ იქმნება

## მსხვერპლი



ი. გედევანი-შვილი
(ავტორი „მსხვერ-
პლისა“)



ვ. აბაშიძე
(საქოს ალმასრულ.
„მსხვერპლში“)



ა. წუწუნავა
(„მსხვერპლის“
დამდგმელი)

№ 29

# შინაარსი:


1. ჯერ კიდევ მსხვერპლია საჭირო მეთაური 1
2. მეომარი, ლექსი, გ. ქუჩიშვილისა 2
3. ვინ არის მსახიობი? შალვა დადიანისა „
4. რა ასუსტებს სხეულს? ექ. ვახ. დამბაშიძისა 3
5. ნუ თუ საჭიროა ლიტერატურული ომი?—ი-სა 4
6. აშიკნი, რომანი ლექსად, თაგუნასი 5
7. ბებია და პაპა, ეტიუდი, დავ. კილოსანიძისა 6
8. ქართველ მწერალთა წერილები, პ. უმიკაშვილი, სოფ. მგალობლიშვილისა 7
9 დღეობაში, ლექსი, ი. გრიშაშვილისა 8
10. მშობლიურ ცის ქვეშ, სურათები, დიკ ჩიანელისა „
11. სინდისს, ლექსი, მთის ნიავისა 10
12. ცხოვრება (გაგრძელება), ს. გლახაშვილისა „
13. სიზმარი, ლექსი, რ. ჯიბილისა 12
14. ილია ჭავჭავაძე, მ. გედევანიშვილის გამოც. კრიტ. წერ. ვახ. კოტეტიშვილისა „
15. ქართულ სახალხო თეატრის ისტორია, გ. ჯაბაურისა 13
16. საუბარი ბეჭდვითი საქმის ხელოვნებაზე, ივ. მჭედლიშვილისა 14
17. ამ დროული ქართული, ი. ზარდალიშვილისა 15
18. წვრილი ამბები „
სურათები; შარჟი; განცხადებანი.



## ექ. ი. გომართელი

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს მიიღებს ახალ ბინაზე (ანასტასიევის ქ. № 8, ვერისკენ) დილით 8—11 ს., საღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.


# მოწოდება

**თბილისის მცხოვრებთა მიმართ „ბაირაღობის“ გამმართველ ბიუროსაგან, ომში დაჭრილთა დამხმარე თბილისის ქალაქის უმთავრეს კომიტეტისა.**

## 22 სექტემბერს „ბაირაღობაა“!

თბილისის მოქალაქენო! დილის 8 საათიდან ქალაქის ყველა უბანში, ყველა ქუჩასა და მოედანზე შეხვდებით ბაირაღების გამყიდველებს.

მიდით მათთან. ყულაბაში ჩაუშვით თქვენი წვლილი, რომელიც ომის მსხვერპლთათვის ფასდაუდებელია სამახსოვროდ აიღეთ პატარა ბაირაღები, ჩვენი დიდებული მამულის გამომხატველი, რომლის შვილნიც ახლა გამწარებულნი იბრძვიან დიდებულ რუსეთის ღირსებისა და სახელისათვის.

ჩვენი ძმები, შვილები და მამანი აღჭურვილნი თოფით და სამშობლოს სიყვარულით ებრძვიან მტერს შორს ჩვენგან ფრანგ-ინგლისელებთან, ბელგიელ-სერბიელ-ჩერნოგორელებთან, ჩვენ ძვირფას მოკავშირეებთან ერთად და ევროპის მშვიდობიანობისა და სამართლიანობის დასამყარებლად ბრძოლის ველზე სისხლსა ჰღვრიან. ისინი იბრძვიან საერთაშორისო უფლებათა და საერთაშორისო სიყვარულის აღსადგენად, რომელიც რუსეთის მტრებმა დაარღვიეს.

ძვირფასო მოქალაქენო!

დიდია ბრძოლა და დიდია მსხვერპლიც. აუარებელი სახს-რია საჭირო, დაჭრილთა სამკურნალოდ, დასახიჩრებულთა დასახმარებლად, მათი ოჯახების მისახედად, რომელნიც მოკლებულნი არიან შემნახველთ, ობლად დარჩენილ ოჯახებისა საპატრონოდ, რომელთაც სამუდამოდ დაჰკარგეს მარჩენელი, სამშობლოსათვის თავგანწირულნი გმირნი.

თბილისის მოქალაქენო!

ღრმესად გვრწამს თქვენი გულითადი თანამგრძნობლობა და დარწმუნებული ვართ, თქვენს მოვალეობას, თქვენს წმინდა მოქალაქობრივ ვალდებულებას შეასრულებთ და ყულაბებს ფულით აავსებთ. აიღეთ პატარა ბაირაღები, ეს ნიშანია ძმური დახმარებისა ომის მსხვერპლისათვის.

22 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, ერევნის მოედანზე გადახდილ იქნება პანაშვიდს ბრძოლის ველზე დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ გადახდილ იქნება საგვედრებლო პარაკლისი ჩვენი ჯარის გასამარჯვებლად.

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 29

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპან"-სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба" Іос Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95. სტამბისა — 15-41.

№ 29 | კვირა 21 ენკენისთვე | 1914 წ.


## 21 ენკენისთვე

### ჯერ კიდევ მსხვერპლია საჭირო.

წლევანდელი სეზონი დღეს არაჩვეულებრივ პირობებში იწყება: ერთის მხრით ომიანობით გამოწვეული გარემოებანი, მეორეთი—თითქმის სულ ახალგაზდა დასი, სეზონის დასაწყისი არა ტრადიციულის „სამშობლო"-თი, არამედ „მსხვერპლით".

მარტო ის გარემოება, რომ ჩვენის თეატრის მესვეურთ გაბედეს ახალი ნაბიჯის გადადგმა—გატკეპნილი გზის ახვევა, დიდს რამეს ნიშნავს და ჩვენის განახლების თავდებია...

დიდი, მეტად დიდი ამაგი გაუწია ჩვენს ეროვნულ გათვითცნობიერებას „სამშობლო"-მ მაგრამ სულ ხომ ერთ ადგილას არ ვიქნებოდით გაყინულნი! საჭირო იყო ახალი გზა, მოჯადოებულ მდგომარეობიდან—ისტორიულ ბურანიდან გამოსვლა და ამის პირველი ნაბიჯი დღეს გადიდგმება...

და ეს ნაბიჯი მხოლოდ მაშინ არ ჩაიკეცება, მხოლოდ მაშინ არ შეჩერდება ერთ ადგილს, როდესაც ჩვენი საზოგადოება მიმართულებისა და მდგომარეობის განურჩევლად ერთსულოვანად შეეცდება მის წინსვლას...

და ვისაც უფრო მეტად უყვარს სამშობლო სცენა, სწამს ჩვენის ქვეყნის აღორძინება, პირველი იგი გამოიღებს ყოველმხრივ საჭირო მსხვერპლს—ჩვენის ერის გამათვითცნობიერებელ და ერთადერთ მაღალ კულტურულ ტაძრის ზნეობრივად და ნივთიერად გასაძლიერებლად...

მართალია, ყოველი საქმე მხოლოდ თვისსავე არსებაში უნდა ჰპოებდეს სასიცოცხლო ძალას, მაგრამ ჩვენი სცენა იმ პირობებშია, რომ მისთვის ჯერ კიდევ მსხვერპლია საჭირო...

საზოგადოებამ უნდა იცოდეს ესა და ყოველის ღონისძიებით შეუწყოს ხელი ახალ დას', ახალგაზდა რეჟისორთ, გამგეობის ახალ ნაბიჯს, ჩვენს სასიკეთოდ გადადგმულს. .

მსახიობთაც კარგად უნდა გაითვალისწინონ საზოგადოების წინაშე თვისი პასუხისმგებლობის სიდიადე, ერთხელ და სამუდამოდ გულოგნებაში განიმტკიცონ, რომ იგინი ქართველი ეროვნული საქმის მღვდელმსახურნი არიან და თითოეული მათგანი აღფრთოვანებული უნდა იყოს სამშობლოს სიყვარულით, ხელოვნების მოთხოვნილებათა მტკიცე აღსრულებით, ქართულის—მშობლიურის მისწრაფებით გატაცებული... ამიტომ შრომა უნდა გაიორკეცონ, თუ საჭირო იქმნა, ბევრი უძილო ღამე უმსხვერპლონ საყვარელ საქმეს და მის გაფურჩქვნას შეეცადონ, რომ არავინა სთქვას—ჩვენი სცენა ცხოვრების ასპარეზზე დამარცხებულთა საკრებულოაო...

ჩვენ გვწამს, რომ სიყვარულსა და თავგამოდებულ მუშაობას ყოველთვის სასურველი ნაყოფი მოჰყვება, ჩვენ გვწამს, რომ დღეიდან ჩვენი სცენა ახალს, აღორძინების გზას დაადგება..

ამის თავდებია იმ კეთილ-სინდის-ერ დამსახურებულ მსახიობთა სახელები, რომლებიც წლევანდელ დასში არიან, ახალგაზდა რეჟისორთა შრომის მოყვარეობა და დასის მეცადინეობა...

ჯერი საზოგადოებაზეა: დაე, თითოეული ჩვენგანი საქმემან ჩვენმან გვამხილოს. .

ამ იმედით ვულოცავთ ჩვენს ქვეყანას ქართ. დრამ. საზ. დასის ოცდამეხუთმეტე სეზონის დაწყებას...

# მეომარი

მოსისხლე მტრისგან დევნილ-რბეული
ვგდივარ დაჭრილი. . სისხლი თქრიალებს..
ვგდივარ და მინდვრის ორბი წყეული
წითლად იღებავს ნისკარტს და ბრჭყალებს. .

მოვკვდები ისე, რომ დედა ჩემი
ვერ დამიხუჭავს საბრალო თვალებს;
ვერც გულის სატრფო, — შვების მომცემი —
ვერ დამიტირებს, ვერ მივ·ლალებს. .

დამენთქა ბედი და ბრძოლის ველზე
აწ უპატრონოდ გდია მახვილი;
სიკვდილის სიო მეხვევა ყელზე,
სიკვდილს-და ესმის ჩემი ძახილი. .



# ვინ არის მსახიობი?

ეს კიდევ თუ აღარ ვიცით, უბედურება ყოფილაო, შეიძლება სთქვას მკითხველმა.

მაგრამ მართლაც უბედურება ის არის, რომ არამც თუ უბრალო მკითხველმა, ხშირად თვით მსახიობებმაც არ ვიცით ვინა ვართ და რანი ვართ?

და ეს მარტო ჩვენში კი არა ხდება. სამწუხაროდ სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც.

გაიხსენეთ ჩვენს ჟურნალში (№ 25) მოთავსებული პაწია შენიშვნა რუს-მსახიობთა შესახებ: ზოგიერთ რუს მსახიობს უთქვამს, „ომიანობის დროს სირცხვილსა ვგრძნობთ, რომ მხოლოდ თეატრის მსახურნი ვართ“. მათთვის ღირსეული პასუხი გაუცია მათსავე რეჟისორს. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად იმან უნდა დაგვაინტერესოს, თუ რად ხდება ისე, რომ მსახიობს თავის თავისა სცხვენიან?

იმიტომ რომ მსახიობის ფსიხიკაა ესეთი.

შენიშნულია: რა გინდ დიდებული მსახიობი იყვეს, რა გინდ მიღებული და საზოგადოების მიერ გაღმერთებული, მაინც ცოტათი სცხვენიან თავის ხელობისა, ვერ არის წელ-გამართული მოქალაქე, ისე, როგორც სხვა რომელიმე პროფესიონალი — ვექილი, ექიმი, მასწავლებელი და სხვ. და საზოგადოებაც ესეთ მსახიობს სცენის გარეთ, კერძო ცხოვრებაში ისე არ ეპყრობა, როგორც თავის ტოლს, სწორ-უფლებიან ამხანაგს. სცენაზე აღმერთებს, ცხოვრებაში კი, შეიძლება არ აგრძნობინოს, მაგრამ მაინც ცოტათი ზემოდან ქვემოთ დაჰყურებს.

მსახიობი ვერ აფასებს თავის თავს, თითქო მოკატუნებულია და საზოგადოებაც ისე ეპყრობა.

ხოლო ვინც თავის თავს კარგად ვერ იცნობს, ვისაც თავის თავის ღირსება კარგა ვერ აუწონია, მას სხვა კიდევ უფრო ნაკლებ გაუგებს და ასწონის. ეს ძველისძველი ჭეშმარიტებაა.

მხოლოდ ესეთი დამოკიდებულება და ესეთი ფსიხიკა მსახიობისა, რა თქმა უნდა, შექმნილია ძველი ცხოვრების პირობებისაგან.

ეგრეა აღზრდილი მსახიობი, ეგრე აქვს ჩაგონებული საზოგადოების მიერ და მასაც თავისი თავი... უღირსი ჰგონია.

გაიხსენეთ რუსეთში პეტრე დიდის ბრძანება: ზოგიერთ შეკრებულებაში „ не допускать комедіантовъ и т. подобной...— აქ ცოტა მაგარი სიტყვაა ნახმარი.

ეს ჩაიჩნდა სულს. გადმოეცა შთამოებას. ამაზე აღიზარდა მსახიობი.

თვით ჩვენს ისტორიაშიაც ძალიან ნაკლები ცნობები გვაქვს სათეატრო მოქმედებაზე, მაგრამ პროფ. ჯავახიშვილის სიტყვით, გვხვდება ტერმინი „სიმღერანი თუ მღერანი საეშმაკონი“, *) რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სათეატრო მოქმედების აღმნიშვნელი უნდა იყოს. თუ ეს ასეა, აქაც სიტყვა „საეშმაკო“, რაღა თქმა უნდა, დამამცირებელია.

დღესაც კი ვისმე რომ „კომედიანტი“ დაუძახოთ, მადლობას არ გეტყვით.

და ესეა სულ. ასეთ დამამცირებელ სახელით არის მონათლული სახიობა, ასეთ, ცოტა არ იყოს, სასირცხო ხელობად იყო მაინც მიჩნეული ჩვენი დიდი საქმე.

---

*) სიმღერა თუ მღერა თავის სრულის მნიშვნელობით, რამდენათაც ვიცი, აღნიშნავს, როგორც ხმის მუსიკალურ ბგერას, აგრეთვე მოქმედებას, შეიძლება თამაშობით მოძრაობას. შეადარეთ ძვ. როკვა.

ავტ.

ჩემს ცხოვრებაშიც მახსოვს ერთმა წარჩინებულმა ნათესავმა გულ-მტკივნეულად მითხრა ერთხელ, რასაკვირველია რუსულად. ჩვენებური განათლებულია:

—Тоже выбралъ себѣ карьеру!—

მაგრამ მადლობა ღმერთს, მსახიობთა სახელიც თანდათან მაღლდება საზოგადოების თვალში და, რაც უმთავრესია, თვით მსახიობთა შეგნებაშიაც.

მსახიობი საზოგადოთ ყველგან უკვე ეჩვევა იმ აზრს, რომ ისიც ეგეთივე მოქალაქეა მსოფლიოსი, როგორც ყველა სხვა ადამიანი, რომ მისი საქმეც ეგრეთვე დიდათ საპატიო და მოკრძალების ღირსია, როგორც სხვების.

ჩვენ ქართველ მსახიობს კი კიდევ უფრო ჰმართებს ამ აზრში განმტკიცდეს და ამაზე აღიზარდოს მისი შთამოება, რადგან ჩვენნი—ქართველთა პროფესია სულ ახალგაზდაა, სულ ახალია, ახლა იდგამს მხოლოდ ფეხს და ჩვენ არ გვყოლია წინაპრებად მონები და ყმები, როგორც სხვა ქვეყნებში. იქ შეიძლება უმთავრესად ამის ბრალიც იყოს, რომ დღეს აქამომდე ამრეზით დასცქეროდნენ მსახიობებს

ჩვენ არავისი ყმები არა ვყოფილვართ როგორც მსახიობნი, და ამიტომაც მონური ფსიხიკა ჩვენ არ უნდა გვეთვისებოდეს. ჩვენი ნიადაგი თავისუფლებაზეა დამყარებული. ჩვენი თეატრის შემქმნელნი ყმები არა ყოფილან. თავისუფალი ხელოვანნი იყვნენ. და ჩვენც კიდევ უფრო ღრმად უნდა განივმტკიცოთ თავისუფალი მოქალაქობა.

დღეს კი სიხარული გვმართებს იმ ფაქტის გამო, რომ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს სუმბათაშვილ-იუჟინს თბილისის თავად-აზნაურობამ თავისი წარმომადგენლობა მიანიჭა სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა ყრილობაზე.

ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს იმ აზრს, რომ საზოგადოება უკვე შესჩვევია მსახიობის მოქალაქედ დასახვას.

სხვაგანაც მომხდარა ესეთი ამბები: განთქმული რუსი სენატორი იყო თავის ქვეყნისა, ირვინგ-უფროსს ლორდობა ებოძა, სარა ბერნარს საპატიო ლეგიონის ორდენი მისცეს.

რა თქმა უნდა მე ჩინ-ორდენებზე არ ვლაპარაკობ აქ, არამედ დაფასებაზე, მიღებაზე.

დღეს ქართველი სუმბათაშვილი, ხელობით მსახიობი, ქართველ თავად-აზნაურთაგან თანასწორ-უფლებიან ადამიანად არის ალიარებული.

მაშ მივეჩვივნეთ იმ აზრს, რომ ჩვენ ყველანი მოქალაქენი ვართ, ხოლო ხელობით მსახიობნი, მსახურნი მეტად საპატიო საქმისა და როდესაც თვით ჩვენ ღირსეულად დავიცავთ სახელს მოქალაქისას, მაშინ ვერც ვეღარავინ დაგვცინებს და ვერც ვერავინ დაგვამცირებს.



# რა ასუსტებს სხეულს?

(შესავალი)

დიდი ხანია, რაც საგულისხმოდ დავისახეთ ერთ-ერთი საგანი, რომელიც შეეხება მეტად საჭირო და სავალალო მხარეს ჩვენი ეროვნული არსებობისას. ეს მხარე გახლავსთ თანამედროვე ქართველის სხეულის ვითარება. ცნობილია საყოველთაოდ, რომ ყოველ ერს სულიერი ავლადიდების გარდა თან ახლავს ყოველთვის გამორკვეული გარეგანი სახე, განსაკუთრებული ელფერი; ეს მისი ნიშანდობლივი თვისება არის, რომელიც განასხვავებს მას სხვა ერთა შორის და, სხვათა შორის, წარმოადგენს ერთ-ერთ მის დამახასიათებელ თვისებასაც. რასაკვირველია, ეს თვისება არ შეეხება ცალკე პიროვნებას, არამედ დიდ ჯგუფს, უმრავლესობას, მთელს ეროვნებას

აი ამ მხრით რომ ავხედ-დავხედოთ ჩვენს ხალხს, ქართველობას საერთოდ, და შევეკითხოთ ჩვენს თავს, თუ რა ავლადიდების მქონებელია თანამედროვე ქართველის სხეული—რა პასუხი უნდა მივიღოთ?!

ბევრი მასალა გავითვალისწინეთ ამის გამოსარკვევად, მრავალის მხრით დავუარეთ საკითხს და საბოლოოდ მეტად მწუხარე დასკვნას მივეახლეთ. მწუხარეა ეს დასკვნა,

როგორც მწუხარეა თვით ჩვენი ცხოვრება საერთოდ, მაგრამ მაინც სხვა უბედურებასთან ერთად მისი სიმწვავე ერთი ათად უფრო მავნებელი ხდება ჩვენი ეროვნული არსებობისათვის.

ამ რთული საკითხის გამოსარკვევად ბევრი რამ არის სათქმელი და აღსანიშნავი, მაგრამ ყველაფერს რომ შევეხოთ, ძალიან ბევრა დრო იქნება საჭირო. ამისათვის განვიზრახეთ ზოგიერთ მხარეს მაინც მივაქციოთ მკითხველის ყურადღება და ნაწილ-ნაწილ გავუზიაროთ ზოგი რამ ამ ვრცელი მასალიდან.

„თეატრისა და ცხოვრების“ მკითხველისათვის კერძოდ არ უნდა იყოს ზედმეტი ასეთი მასალაც, მით უფრო, რომ სხეულის გარეგნობას დიდი კავშირი აქვს ხელოვნებასთან და თუ ჩვენი თეატრი ხელოვნების მსახურად ისახავს თავის თავს, იგი ვერ აუხვევს გვერდს ამ საჭირო დარგსაც.

ყველასათვის აშკარაა, რომ გარეგნობას მიხვრა-მოხვრას, სხეულის მოხდენილობას და განვითარებას — დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის. ძველი ბერძნებიც-კი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ დარგს. მაგრამ თანამედროვე კაცობრიობამ, სამწუხაროდ, ცოტა გვერდი აუარა ამ საკითხს და თითქოს ზედმეტად დასახა იგი; უფრო სხვა მხარეს მიაპყრო მთელი ყურადღება და თითქმის სულ მიივიწყა ძველების განსაკუთრებული ტრფიალი გარეგნობის სრულყოფისადმი. ახლა აქა-იქ ხელახლად შეუდგნენ სხეულის გავარჯიშების საქმეს, მაგრამ ეს ზრუნვა დაგვიანებული არის, რადგანაც ადამიანის სხეული უყურადღებობითა და მრავალი მავნე გარემოების ზეგავლენით უკვე დაძაბუნდა, დასუსტდა და მეტად დაშორდა თავის პირვანდებულ სახეს. ეს თანდათანი დამახინჯება საუკუნოებით ხდებოდა. ამიტომაც დიდი დროა საჭირო ხელახლად წინანდელ საფეხურზედ ასასვლელად.

თუ კი ეს სამწუხარო მოვლენა თითქმის საყოველთაო იყო, რასაკვირველია, ჩვენც არ აგვცდებოდა დროთა ცვალებადობის უკუღმართობა. და ასედაც მოხდა. სხვა სიძაბუნესთან ერთად ქართველი სხეულითაც დაძაბუნდა, და ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება უნდა მიექცეს. რაც ჩვენ ხელთ არ არის — იმას რაღა გაეწყობა, რაც ჩვენ ხელთ არის, ამას მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება, სანამ კიდევ შესაძლოა გაუკუღმართებული საქმის წაღმა შეტრიალება. ეს ყოველ ქართველს ზნეობრივ მოვალეობად უნდა ჰქონდეს დასახული და სამუდამოდ გათვალისწინებული.

**ექ. ვ. ლამბაშიძე**

(დანარჩენი შემდეგ)

# ნუ თუ საჭიროა ლიტერატურული ომი?

ნემეც მწიგნობართა ერთმა ჯგუფმა, როგორც უკვე გაკვრით გვქონდა მოხსენებული, მოწოდება გამოსცა გერმანელ თანამოკალმეთა მიმართ — ამის შემდეგ რუს მწერალთა ნაწარმოებთ ნულარ გადმოთარგმნითო. ასეთმა მოწოდებამ რუსის ბევრ მწერალთა შორის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია და თან სინანული: ყოველივე ლამაზს, შვენიერსა და უმაღლესს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, სადაც უნდა იყვეს წარმოშობილი — საფრანგეთისა, რუსეთისა თუ გერმანიის ცის ქვეშო, ამბობენ რუსის მოწინავე მოაზრენი; გერმანელ შოვინისტთა საქციელი გაუგებარია და საგმობიო. ამ მოწოდების შესახებ რუსულ გაზ. „უ. რ.“ ერთ-ერთ ნომერში მოყვანილია სახელგანთქმულ მწერალ-ხელოვანთა და სწავლულთ მოკლე წერილები.

**დრამატურგი თ. ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი** სწერს: ის ერი, რომელიც გაბოროტებისა და ვიწრო ეროვნულ ალტყინების დროს თავის საუკეთესო წარმომადგენელთა — ლიტერატორთა ბაგით ასეთ დადგენილებას გამოსცემს, სულიერად მკვდარია და იგი ვეღარას მოგვცემს შემოქმედობისა, აზროვნებისა და ხელოვნების დარგში, ვიდრე ძირეულად არ შეიცვლება მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ არსებობის პირობანი. და მართლაც, უკანასკნელ ათეულ წლების განმავლო-

ბაში გერმანელთა სამხატვრო-შემოქმედებითი ცხოვრებამ ისეთი ვერა მოგვცა·რა, რომ თუნდა მათსავე—გერმანელთა—მწერალთ შპილგაგენთა და აუერბახთ შეედაროს, არა თუ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის მწერალთ.

სენტიმენტალიზმის იმ ტალღას, რომელიც სახელგანთქმულ ჰაუპტმანის მესვეურობით გერმანიიდან ჩვენში შემოდის, მსოფლიოს შემოქმედობითი-სამხატვრო სალაროში არაფერი შეაქვს. ამიტომ ჩვენ არც კი გვესაჭიროება ნემეც მწერალთ მათივე დადგენილების მსგავსით ვუზღოთ სამაგიერო. ჩვენ თუ აღარ გადმოვთარგმნით ნემეც მწერალთა, იმიტომ კი არა, ვითომც შოვინისტები და ვიწრო ნაციონალისტები ვიყვნეთ, არამედ იმიტომ, რომ გერმანიის შემოქმედების დაშრალ წყაროდან ალ-რაფრის ამოწურვა არ შეგვიძლია.

**ი. ეიხენვალდი**—ამ საგნის შესახებ იმასვე ვფიქრობ, რასაც ყველა მწერალი, ნემეცთა გარდა. ანბანს ყურადღებით მხოლოდ ის სწავლობს, ვინც არ იცის. ამიტომ ვიკრძალვი ანბანური ჭეშმარიტება გავიმეორო, სახელდობრ ის, რომ ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება საერთაშორისოა და ომში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. იგინი ნეიტრალიტეტს იცავენ, არავის ემხრობიან, ვინაიდან ყველას ეკუთვნიან. (აქ რასაკვირველია, მოუსყიდველ ლიტერატურაზეა ლაპარაკი). სული იქ ჰსუნთქავს—სადაცა ჰსურს. ამიტომაც ნემეც მწერალთა გადაწყვეტილება (თუ მართლა ასეთი დაუდგენიათ,—მე როგორღაც არა მჯერა), შეცოდებაა სულის წინააღმდეგ, გმობა სიტყვისა. ნემეც მწერალთ თავისი სამგმობი გადაწყვეტილება რომ მართლაც აღასრულონ, რას იზმენ, მაგ. ახალი შექსპირი ანუ ტოლსტოი რომ მოევლინოს კაცობრიობას? ამით ხომ თავისი თავდაცვის მისწრაფებათ შეზღუდავენ? რაც უნდა იყვეს, ჩვენ ნემეც მწერალთა კვალს არ გავყებით და მათ შორის მეორე ჰეტე რომ დაიბადოს, მის ნაწარმოებთ უეჭველად გადმოვთარგმნით, თუმცა ნემეცებს ვეომებით, ვინაიდან ნემეცები—ნემეცებია და ჰეტე კიდევ—ჰეტე. და რომელ ენაზედაც უნდა ბგერდეს კაცთა მაღალღირსეული სიტყვა, იგი მიმართულია მთელი კაცობრიობისადმი: ლიტერატურა—ნემეცურად ანუ ფრანგულად კი არა ლაპარაკობს, არამედ მსოფლიო ენაზე.

**პროფ. პ. ნ. საკულინი**—ნემეც მწერალთა გადაწყვეტილება რუსული ლიტერატურის წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, უსამწუხაროესი მოვლენაა, სულის დროებითი ავადმყოფობის მაჩვენებელი, ომის უგუნურობით წარმოშობილი. რუსის მწერალთა და სწავლულთა მხრით სირცხვილი იქნებოდა ასევე ეპასუხნათ. ხალხთა კულტურული ცხოვრება შესაძლოა მხოლოდ ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ღირებულებათა ურთიერთი გაზიარებით. მოისპობა ომი, დაცხრება მისით გამოწვეული საურთიერთო გაბოროტება და ჩვენ ხელახლად დავეწაფებით აზროვნების ყოველივე მაღალღირსეულ შემონაქმედს, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. — ი

# აშიკნი

(რომანი ლექსათ)

ცხელა, ცხელა, ცხელა, ცხელა,
მზე სხივების ალმურს ართავს...
ზედ ჩემ ცხვირზე მიჯნურ ბუზებს
პაემანი გაუმართავს.

ჩრდილში ვწევარ... ვერ ვიძინებ,
თუმც ძალიან მეძინება;
აშიკ ბუზებს ვზვერავ ზანტად,
სადღაც, ტვინში, მეცინება.

გავდენო თუ დავანებო?..
ოფლის ღვარი მირწყავს სახეს...
ბრაზი მომდის: ჩემი ცხვირი
სადაური ბაღი ნახეს?!.

ცხ ლა, ცხელა! წამწამებზე
დამეკიდა ზლაზვნით რული...
ცხადია თუ მესიზმრება
ქაბუკ ბუზთა სიყვარული?..

ვაჟი-ბუზი ვნებით იწვის,
მუხლს იდრეკს და ძლივს ლუღლუღებს:
—„გულის ვარდო! ტრფობის ალი
გონს მიკარგავს, სისხლს მიდუღებს!

წამო ჩემთან, თორემ, ვფიცავ,
სურვილები გამაგიჟებს?
იქ შემომყევ, აკლდამაში...
(ჩემს ნესტოში იპატიჟებს!)!...

—„შემოგყვები, ჩემო გიჟო,
სატრფო-ბუზი ეუბნება:
მაგრამ საზღვარს არ გადასცდე,
შეიკავე დროზე ვნება!..“

მგონი მძინავს .. გულის პირზე
ნიავი მცემს, მისისინებს ..
მძინავს, მძინავს, მაგრამ ცხვირში
რა ჯანდაბა მილიტინებს?

ნუ თუ ბუზმა ქალწულ ბუზის
არ დაინდო გრძნობა ნაზი:
შეიტყუა ჩემს ნესტოში,
გადალახა წრე და ხაზი?

კმარა! უნდა დაისაჯოს
ის ავხორცი უწმაწური!
მე თუ არა, ვინ იძიოს
ნამუს-ახდილ ბუზის შური?

თვალებს ვახელ... ბრაზი მახრჩობს..
გაафთრებით, ანჩხლად ვყვირი:
—ვინ შებღალა წმიდათ-წმიდა?..
ვინ წაბილწა ჩემი ცხვირი?!.

უფრო დაცხა... ცეცხლმა მზისამ
წაშალა და დასწვა ჩრდილი...
ვგრძნობ, ნესტოდან გამოცოცდა
ორივ ბუზი დარცხვენილი...

ონდა მოვკლა... ვერ შევარჩენ...
ასეთია ჩემი წესი...
მაგრამ ვაჟი რომელია?
როგორ ვიცნო ბუზთა სქესი?

სწორედ ცხვირ-წინ დავკარ ტაში...
რომელს მოხვდა, რომელს ნეტა?
ღმერთო ჩემო! ორივ მოკვდა—
რომეო და ჯულიეტა!

თუმც ახია! რათ შებღალეს
პატიოსან ცხვირის ნესტო?
დე, შეიტყონ სხვა ბუზებმაც:
Тамъ не мѣсто.. тамъ не мѣсто!

**თაგუნა**

# ბებია და პაპა

(ეტიუდი)

სახლის ეზოში პატრიარქ-ჩინრის ტოტებ ქვეშ სხედან ბებია და პაპა და ტკბილად მუსაიფობენ. მათი მოხრილი ტანი მოგაგონებს უფრო კავიან ჯოხს, რომლის საშუალებითაც იმაგრებენ დედა-მიწაზე უძლურ მუხლებს; ლაპარაკი კი უკბილობისა გამო ბავშვურ ჩიფ-ჩიფს; მათი გარდი-გარდმო დანაოჭებული სახეები წამოგიყენებს თვალწინ უშნო გლეხის უწესოდ დახნულ მიწას. ამ აბრამ და სარას ახლო მომავალი საფლავია; აწმყო—ტანჯვა უძლურობისაგან; წარსული კი—ბედნიერებით სავსე კიდობანი. სიმწარე ხომ გავლილ ცხოვრებაში ჰქრება უკვალოდ, ვითა წუთიერი სიზმარი. ამიტომაც მოხუცნი წარსულზე მუსაიფობენ, სოფლის ეკლესიის ზარი კი განუწყვეტლივ კვნესის ნელ-ნელა სამგლოვიაროდ, თითქოს სიკვდილის მოახლოვებას ატყობინებსო; ხოლო ჩინარი, მოწმე მათ ბედნიერ ახალგაზდობისა, დროთა ვითარებისაგან ხელ-უხლებელი, ირხევა მედიდურად და აქეზებს მოხუცთ წარსულის მოგონებაში.

—გახსოვს ბები, ეუბნება პაპა თავის ცხოვრების თანამგზავრს—აქ პირველად რომ ავაჟღარუნე ჩონგური სიყვარულის სიმღერით?

—მახსოვს, კარგად მახსოვს!—უპასუხებს ბებია, რომელსაც ღიმილისაგან მთლად ემალება მიმქრალი თვალები სახის ნაოჭებში.

—გახსოვს, ბები,—განაგრძობს პაპა სახე-განათლებული—როგორ ვიბრძოდი ხმალშიშველი მტერთან ამ ხის ქვეშ, რომლის ძირი უხვად მოვრწყე ლეკთა სისხლით?

—მახსოვს, როგორ არ მახსოვს ეგ სისხლის წვიმების დღე!—ჩამოართმევს ბებია სიტყვას და სიბრალულით გადახედავს პაპას მარჯვენას, ოდესღაც ფოლადივით მტკიცეს, ახლა კი დადუნებულს და ჭვინტას ბოლოსავით აკანკალებულს.

—გახსოვს?..

დონ—დონ—დონ. გაიძახის ეხლა უფრო მეტის დაჟინებით და თითქოს მუქარითაც ეკლესიის ზარი სამგლოვიარო კილოზე და არღვევს მოხუცთა სასიამოვნო მოგონებას.

**დავ. კილოსანიძე**

1914 წ. მარიამობის 30-ს. ქ. თბილისი.

# ქართველ მწერალთა წერილები

## პეტრე უმიკაშვილი (1838—1904)

შესამოცე წლების მოღვაწეთა შორის პეტრე უმიკაშვილსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. პეტრეც, როგორც ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე ყველა დარგის მწერალი იყო, მხოლოდ პოეტობაზე შორს იდგა და თავის სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაუწერია. მუდმივი თანამშრომელი იყო გ. წერეთლის და სერგი მესხის „დროებისა“, „კრებულისა“, „ივერიისა“. ძალიან უყვარდა ქართული თეატრი. პეტრე თეატრში ჰხედამდა ჩვენს აღორძინებას, ჩვენს გამოფხიზლებას; სწერდა სცენებს „ანჩისხატის-უბნელის“ ფსევდონიმით კვირეულს „ივერიაში“, პიესებს. დღესაც ქართული რეპერტუარიდან არ გამოსულა მისი ლამაზად დაწერილი „სამზადისი“.

პეტრე პირველი პიონერია სახალხო ლექსების, ზღაპრების, ანდაზების, საზოგადოდ ხალხური სიტყვიერების განძის შეკრება-გამოცემისა. მან პირველმა დაიწყო ეს დიდი საქმე, რომელსაც შემდეგ დიდებულმა აკაკიმ ფართე გზა მისცა და მრავლად გამოაქვეყნა თვის საკუთარს გამოცემაში ხალხის მიერ შექმნილი სიტყვიერი განძი. პეტრეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართულის წიგნების გამოცემაში, მაგალ. მან გამოსცა დავით გურამიშვილის თხზულება „გურამიანი“ და წაუმძღვარა საკმაოდ ვრცელი წერილი: **„დავით გურამაშვილი და იმის წინა დროები“.**

პეტრე უმიკაშვილი ძალიან მშრომელი და ფუსფუსა კაცი იყო, ვერა დროს ვერ ნახამდა კაცი უსაქმოდ, თუ გამოდიოდა ქუჩაში, მაშინაც კი საზოგადო საქმეზე ფიქრობდა, ზრუნავდა; ის მუდამ ფუტკარივით დაფუსფუსებდა; როგორც ფუტკარი მუდამ მიეზიდება თვის სკაში ტკბილს წვენს, მონაწუწნს სუნოვან ყვავილებიდამ, ისე პეტრე მიეზიდებოდა ნაშრომნაღვაწს ჟურნალ-გაზეთებში ტყუილად არა ჰკარგავდა დროსა გარედ გამოსვლისას: უსათუოდ ჩამოგიგდებდა რომელიმე საზოგადო საქმეზე ლაპარაკსა, ან გიამბობდა, სად სახალხო ლექსი, ან ზღაპარი იპოვა, რამდენი სხვა და სხვა დაკარგული ქართული სიტყვა იპოვა, რომელთა ხმარება წერიდან გამოსულია, მაგრამ სახმარად უსათუოდ საჭიროა; დაგაყენებდა ქუჩაში და გკითხავდა, ესა და ეს სიტყვა რა აზრითა და მნიშვნელობით იხმარება ჩვენი ხალხისაგან სხვა და სხვა ალაგას. განსაკუთრებით უყვარდა მოსწავლე ახალგაზრდობა, მისი სახლი სავსე იყო ხოლმე მოსწავლეებითა. დიდხანს იდგა ანჩისხატის უბანში, მოსწავლენი ხალისით დაიარებოდნენ მასთან, ურჩევდა წიგნებს საკითხავად; მაშინდელი ახალგაზრდობა ძალიან მისდევდა ფილოსოფიური წიგნების კითხვასა, განსაკუთრებით სემინარიელები. პეტრემ შეაჩვია ახალგაზრდობა ისტორიულ წიგნების კითხვას: „იკითხეთ ბოკლი, შლოსერი, დრეპერი ლუიბლანის „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“, გაეცანით დიდებულ ინგლისის მოაზრეს მილლს და სხვა და სხვა. მართლაც ახალგაზრდობა დაეწაფა ამ დარგის ნაწარმოებთა კითხვასა. უყვარდა ტკბილი ბაასი ამა თუ იმ საგანზე. მაგრამ გაუთავებელი ბაასი კი იცოდა; თუ ვისმეს ჩაიგდებდა ხელში, ტაატით გაიყოლებდა ქუჩაში და ელაპარაკებოდა მძიმედ და დალაგებით, შემოუბრუნდებოდა ისევ ნალაპარაკევსა და ხანდისხან მოსაწყენად გახდიდა. ბევრჯელ საქმე გქონდა, მიეშურებოდი, მაგრამ პეტრე თუ ჩაგბღუჯავდა, მინამ თავის გულის პასუხს მთლად არ მოგასმენინებდა, ხსნას არ მოგცემდა. ერთხელ გოლოვინის პროსპექტზე პეტრემ გააჩერა თურმე ანტონ ლორთქიფანიძე, დიმიტრი ყიფიანის სიძე, ელენეს ქმარი. ანტონი ძალიან მოსწრებული და ოხუნჯი მოლაპარაკე იყო. პეტრემ თურმე მოიკითხა და გაუბა ლაპარაკი ქუთათურ ქალებზე: უქადაგეთ, რომ წიგნების კითხვით განვითარდნენო, იკითხონ ბოკლი, მილლი, დრეპერიო.

— გეთაყვა, პეტრე, უთხრა თურმე მოსწრებულად ანტონმა: ერთი დღით ჩამოვედი, შენ ორ დღეს მოუნდები ლაპარაკსა, მეორედ ერთი კვირით განსაკუთრებით შენთან მოვალ სალაპარაკოდ და მაშინ გაათავეო.

— ბაიყუში ხარ, შენ თუ ახირებული არა თქვი-რა, ხომ არ ინქებაო, უთხრა თურმე პეტრემ და გულდაწყვეტილი განშორდა, რომ ვერ გადასცა მას თავისი გულისწყრომა ქუთათურ ქალების შესახებ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# დღეობაში

სონა!
როცა ისე ოკრო-ბოკროდ დავდიოდი მე ამ სოფლად,
გულის ტახტზე სხვა მესვენა, სხვა მიმაჩნდა ჩემს დედოფლად.
როცა გნახე და ჩემს ნიჭზე რამდენიმე სიტყვა ბძანე —
მაშინ ის სხვა ამ ტახტიდან ძირს ჩავაგდე, ჩავაბძანე.
მე ამ გულის ტახტრევანზე, სასიამოდ, ნაზად, მწყობრად,
ჩემს დედოფლად დაგასვენე, დაგასვენე ჩემს მეგობრად...
და ის ძველი დედოფალი, ის მიჯნური, ის გოგონა,
მსხვერპლად გიძღვენ... და მას შემდეგ მეც შევიქენ შენი მონა.
სონა!

სონა!
და ეს ჩემი სიყვარული, ღმერთებმა რო მიფეშკაშეს,
ისე ღრმაა, რომ ვერ ახსნი მის იდუმალ სიკაშკაშეს.
ვით ვერ დასწერ ზურნის საარს, ან დუდუკის რბილ ზუზუნსა,—
ვით ზღვის ფუნჯზე ვერ დახატავ ყვავილების მალხაზ სუნსა,—
ისე ვერც შენ გამოიცნობ ჩემს სიყვარულს, ჩემს სიყვარულს,
ჩემს სიყვარულს შენს ნაზ გულში შემიჭრილს და შემოპარულს;
ვერ გაიგებ ოქროს ცრემლი თვალმა რისთვის წამოჟონა,
ვერ გაიგებ ეგ სინაზე მე ტლანქს რისთვის მომეწონა!
სონა!

17 ენკენისთვე. ღამე.



თავ. ნ. ერისთავი

.. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეობისათვის სხვა არა იყოს-რა, ისიც მეყოფა, რომ დიდის ერისთვიანთ შთამომავალი ვარ!..

## მშობლიურ ცის ქვეშ

(სურათები)

ძღვნად ძვ რფას მეგობარს გ. ფაღავას.

I

—დედა, ბაბა სადაა? ხელი ჰკრა ხუთი წლის გოგომ ახალგაზდა ქალს.

დედამ არაფერი უპასუხა... ამოიოხრა·

—დედა, ძია სა წავიდა? კიდევ შეეკითხა გოგო.

—წისქვილში არიან შვილო... სევდით მიუგო.

— ქადს მოიტანენ?! მე მშია.

დედა გაშტერდა, არაფერი უპასუხა და ცრემლები წასკდა...

პაწა დედას მოეხვია, კოცნა დაუწყო.

—დედა, შენც გშია: მეიცადე, ბაბა მოვა წისქვილიდან... გავაკეთოთ და ვჭამოთ,—ამშვიდებდა იგი...

დედა კი ქვითინებდა. ქვითინებდა: თვალწინ ომში წასული ქმარი დამაშლი ეხატებოდა.

ქვითინებდა საბრალო და მხოლოდ პაწა ასული აძლევდა ნუგეშს!!

II

ის წაიყვანეს... ომში წაიყვანეს. იგი 20 წლის ჭაბუკი იყო; იმედებით უძგერდა გული და როცა სატრფოს დაეკონებოდა ხოლმე, თავი სამოთხეში ეგონა .

უდარდელი და ბედნიერი იყო, მაგრამ ომში წაიყვანეს!.. წაიყვანეს!..

— მისი სატრფო გიჟურად სტიროდა. ახლობელნიც სტიროდნენ.

ერთმა გაბედა და ასული ანუგეშა:

— ნუ სტირი, თავის ვალს იხდის, სამშობლო უნდა მტრისგან დაიცვას;

—სამშობლო!—ამოიგმინა ასულმა და მტირალმა გადაიხარხარა

—მაშ, წაიყვანონ, წაიყვანონ, დაიცვას სამშობლო!—და კიდევ გადიხარხარა.

იგი ჭკუაზე შესცდა...

**დია ჩიანელი**

# ქართული დრამ. საზ. დასი. სეზონი 1914-15 წ.



ვ. აბაშიძე — ეფ. მესხი — ნ. ჩხეიძე — ე. ჩერქეზიშვილი



რეჟისორები

პ. კორიშელი — ა. იმედაშვილი — მ. ქორელი — ალ. წუწუნავა — ი. ზარდალიშვილი — ა. ყალაბეგიშვილი



ა. შანშიაშვილი — ა. ლოლუა — პიერეტტა — ა. ქიქოძე — ა. შოთაძე — გ. ფრონისპირელი



ს. ბეჟანიშვილი — ვ. ვარვარიძე — ბ. ბეგლარიძე (მოკარნახენი) — ზ. ურშელი (სცენარიუსი) — ნ. თოიძე



ვ. ალულიშვილი — ზ. გომელაური — ნ. მამულაიშვილი — მ. სარაული — მ. ჭიაურელი

# სინდისს

ყველას ავიტან, თამამად, მედგრად,
ვერ შემაშინებს ბედის ტრიალი;
წარბსაც არ შევხრი, თუნდ მეგობარმა
შემასვას შხამით სავსე ფიალი;
ყველას ავიტან თამამად, მედგრად,
კლდედ გადვიქცევი ამაყად, ხოლო —
ჰოი, სინდისო მამხილებელო!
არ შემიძლიან შენ შევებრძოლო!

**მთის ნიავი**

# ცხოვრება

## მოქმედება მესამე

სცენა: მთა ტყიანი. წინ პატარა ველი. მარჯვნივ მხრიდან ბილიკი მიმავალი მთაზე, რომლის მაღლობზე ნანგრევია ოთხკუთხ კოშკისა, შიგ-კი პატარა ეკლესიის ნაშთი, მარცხნივ მხრიდან მთის მდინარე; ამავე მხრიდან მოსჩანს მყინვარის ქედი. შუადღეს გადასულია.

### I

**გიორგი.**

**გიორგი.** *(შემოდის, მეტად მოქანცული, ფერწასული)* ყოველ მხრივ ერთი და იგივე, იგივე ცხოვრება ყოველ არსებისა; მერე, რისთვის, ამაოებისათვის?.. *(დათვალიერების შემდეგ)* აი, ის ხეა, რომელზედაც მამაჩემმა ნიშანი დაიდო ჩემთვის... როგორ გარდილა, გარს ფესვები ამოუხეთქია; ეს არის ამის ცხოვრება... ხოლო ჩემი?.. *(მუხლთ ჩაკრეფილი დაჯდება)* ჩემი?!. ეჰ, ჩემი ცხოვრების იმედი გაჰქრა... *(მოისმის ყრუდ საღამოს ლოცვის ზარის ხმა; წამოიჭრება)* ზარის ხმა... აი ხმა რწმენისა... ნეტარ არიან, რომელნი ამა ხმით საზრდოებენ, ცხოვრობენ... ვაი, ვაი მათ, რომელთ ამა რწმენისა ფესვიც მომპალი აქვთ .. ახ, რა კარგი იყო ის დრო, როდესაც ეს ხმა მიმაფრენდა თავისკენ... ბედნიერიც... ცხოვრების მიზანიცა მქონდა .. ეხლა?.. განქრა ჩემში ყოველი ..დავფუტუროვდი, ვით ეს ხე... *(ხის მიმართ, რომელიც ძირსა გდია, მოტეხილი)* კარგად მახსოვხარ ნაძვო! ამაყად იდეგ შენს ნიადაგზე, მაგრა დანდობილი შენს ფესვებზე, რომელიც შენი მეზობლების ფესვებთან გქონდა გახლართული; ახლა ძარღვის ნაკადული გაგშრობია; სხეული დაგფუტუროებია... „მიწა ხარ და მიწად გარდაიქმნებიო“ .. მაგრამ, შენ, შენი ცხოვრების მიზანი მაინც შეასრულე, ფესვებით ამოიხეთქე ცხოვრებისათვის.. ხოლო მე?.. მე.. *(მოისმის სალამურის ხმა, იმ კილოზე, ცხვარს რომ ახალისებენ საძოვრებზე. კარგახანს უსმენს სახის მეტყველებით)*— მეცხვარე სცხოვრობს... იშვა შვილი მეცხვარისავე... მოჩიტდა, მოიზარდა, ცხვარსავე მოუდგა, ღამე ნაბად წახურული, ხელში კომბალ დაკავებული ცხვარსა სდარაჯობს; დღეც მასვე უდგია, აძოებს... მოღერდა და ცხოვრებისათვის მას ქალი თვალში მოუვიდა, შეუყვარდა... იგი ბედნიერია, ქალიც კმაყოფილია ..დრო საქორწინოდ, შესაუღლებლად დანიშნულია ..ამ ბედნიერის წუთით იგი გამსჭვალულია, სანეტაროს მოლოდინშია.. მაგრამ, ამ დროს გაჩნდა მგელი! წამოხტა იგი. მოიმარჯვა კომბალი, რომ მოტაცებული ცხვარი გააგდებინოს... არა, მოტაცებული ცხვარი-კი არა, მისი დანიშნულია. მტაცებელი მგელი კი არა, —ადამიანია!..

### II

იგინივე, **დათია**.

**დათ.** *(სალამურის ხმა მიყუჩდება, რა შემოვა)* ეგერ...

**გიორ.** დათია, შენა?!.

**დათ.** მე გახლავარ... ჩვენ აქ ცხორსა ვაძოებთ... შენ-კი...

**გიორ.** ჰო, მეც აქეთ წამოველ ნაღველის გასაქარვებლად.

**დათ.** შენ და ნაღველი...

**გიორ.** არა გჯერა?... მაგრამ, არ მიკვირს, ჩვენ ხომ ერთმანერთს არ ვიცნობთ...

**დათ.** ვიცი შენი კვნესა მე, შენ ძმაი ხარ ჩემი მტერ-მოყვარისა...

**გიორ.** მესმის, დათია, შენი გულის ტკივილი... ეგ ტკივილი, იქნებ მე უარეს ლოდად მაწევს...

**დათ.** შენი კვნესა მე აქიმო! შენი სიკეთე სოფელსა...

**გიორ.** მართლა, გვერდი როგორა გაქვს? რატომ აღარ შემომიარე; გვერდი გტკივა?..

**დათ.** არა მიჭირს რა, შენი კვნესა მე! ისედაც დავალებულია ჩვენი ოჯახი; სიკეთი-

სათვის მტლედ დაგედების დათია, ცეცხლში გადავარდების... ოღონდაც, შენი კვნესა მე, ჩვენს ქალიშვილებს ლეჩაქს ნულარ მოხდით... ე კონაი, შენი კვნესა მე, ჩვენი ოჯახის...

**გიორ.** მერე რა?!..

**დათ**. „პირში ზრახვაი სჯობს, ზურგთ უკან ქებაის“.. შენი კვნესა მე! თუ რაიმე ი ქალაი, კონაის რაიმე დაემართვის შენგანაი... მაშინ დათიას ქუდი რაღას ეხურვის... ალარას დაზოგავს...

**გიორ.** მართალია, დათია, ჩვენმა ოჯახმა შენი წყრომა დაიმსახურა... ჩემი ძმა... მაგრამ, მე თუ აქამდის არ მიცნობდი, ეგა მწყინს შენგან...

**დათ**. ჩემი გული სწავლულებს ველარ ენდობის...

**გიორ**. წუწკი და უნამუსო ყველაშია, ჩემო დათია!

**დათ**. ჰაი, ჰაი. რომ არი, შენი კვნესა მე! ჩვენშიაც არის; იმათა, შენი კვნესა მე, პირდაპი შევეჯახებით; აბაი რას მოვერიდებით; ჩვენ ტოლს, ან მოვკლამთ, ან შემოვაკვდებით...

**გიორ.** მაშ, წადი და იცოდე: თუ ჩემგან რაიმე უნამუსობა შეამჩნიო, მოდი პირდაპირ, მზად ვარ პასუხი გაგცე, ვით შენი ტოლი.

**დათ.** შენი კვნესა მე, შენი! ღირსი ყოფილხარ შენი კვნესა მე, სალოცავისა.. ქალი კონაი შენა გლოცულობს, სულ გიორგის იხსენიებს,..

**გიორ**. ჩემს სახელსა?..

**დათ**. რაც შენ განკურნევი, შენი კვნესა მე, შენა გლოცულობს. . მშვიდობით, შენი კვნესა მე! ნუ მიწყენ, თუ-კი რაიმე გაწყეინეთ... (*მიდის*) ნულარ დაიგვიანებთ, შენი კვნესა მე; აი, ის ღრუბელი საშიშო არი; აწვიმდების, მეხის დაცემა იცის...

### III

**გიორგი, კონა, ლანდი**.

**გიორ.** მეხი?! . რომ ვიცოდე მეხი დამეცემოდეს... (*მთისშის მეცხვარეთა ხმა: „დრრრ... ეჰი...“ რამდენიმეჯერ, შემდეგ მისუდებს*) კონას... მაგრამ არა. . (*ამოიღებს წერილს, კითხულობს*) „...ეძებდე და ჰპოებდეო“... მეც შემავდა შენი ძმა... აი, ასეთი გამბედავი და ვაჟკაცი ქმარი მინდოდა... რამდონად ბედნიერნი ვიქნებით, არ ვიცი... თუ უბედური, ეგ-კი შენი ბრალი იქნება... ყოველივე დედიჩემის დატოვებული ჩავიბარე; არა, მე კი არა, შენმა ძმამ. ვანო მართლაც ბატონია.. ხვალ აქ ვიქორწინებთ... გთხოვ ლოცვას... ნუ დამწყევლი... შენი... მე ხომ ეხლა რძალი ვარ?... შვიდობით, შენი კატო" შვიდობით... კმარა!.. (*ამოიღებს რევოლვერს*) შვიდობით, ჩემო არე-მარევ, ჩემო სამშობლო მხარევ.. მშობელო, ნიადაგო, მიიღე ჩემი გარდაცვლა, რომ მით სხვა იქმნას ძლიერი, გასპეტაკებული ამა ცხოვრებისათვის... მამაო ჩემო, მომიტევენ.. (*მიიდებს შუბლზე საფეთქელთან რევოლვერს. ამ დროს კონასაკან ფეხით ასხლეტილი ქვა დაგორდება ხმაურობით, რაც გიორგის რევოლვერს ძირს დაუშვებინებს, გამოჩნდება მიმავალი კონა ბილიკით მაღლა სანინოსკენ; ხოლო გიორგის წინ ლანდი მამისა, რომელიც უთითებს ამავალ კონაზედა*) მამაჩ...

**ლან**. მე ვარ შენი მშობელი.

**გიორ.** მშობელი!.. მაგრამ, შენ ხომ გარდაიცვალე...

**ლან** სხეულით. სული უკვდავია ვით ხსოვნა ადამიანში.

**გიორ.** სული უკვდავი.. დიახ, დიახ .. მერე, სცხოვრობ სადმე?..

**ლან.** შენში.

**გიორ**. ჩემში, მაგრამ...

**ლან**. ყოველთვის, განუყრელად, ვით გონება შენი.

**გიორ**. „ვით გონება?!“ მერე როდემდის?..

**ლან**. სანამ გრწამს მშობელი შენი...

**გიორ**. სანამა მრწავს?.. განა შემიძლიან?... აი, ეხლა აგრე ცხადად რათ მომევლინე?..

**ლან**. ცხოვრებისათვის!..

**გიორ.** „ცხოვრებისათვის!“ მერე შენა გსურს: ვიცხოვრო?

**ლან**. მოვალე, ხარ იცხოვრო!

**გიორ**. მერე რილასთვის?..

**ლან.** კალობრიობისათვის. ბუნება შვავს თავისთვის. ყოველ შობილმა უნდა მოუტანოს ის, რაც თვით ბუნებამ მას მიანიჭა. ქმნილება ითხოვს შობილისაგან: შექმნას, წარმოშვას მითივ ცხოვრებას.

**გიორ.** მერე სიკვდილი?!. სიკვდილი...

**ლან.** სიკვდილი არ არის ბუნებაში. არის გარდაცვლა, ბუნებისაგან განიცდის ყველა.

**გიორ.** მაგრამ, მკვლელობა?! თვით მკვლელობაი...

**ლან.** სნეულებაა.

**გიორ.** მიზეზი...

**ლან.** თვით გონებაა.

**გიორ** მერე მკურნალი?!?

**ლან.** იგივ გონება.

**გიორ.** გონებას, იგივ გონება!.. მაშ დავიხსომო... (ამ დროს ლანდი განქრება. დაგორებული ქვის ხმა ისმის. ზეგიდან მოდის კონა) გონებას, იგივ გონება...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# სიზმარი

ერთხელ განახე ჩემს ბაღჩაში
მხიარული, მომღიმარე;
მთვარის შუქსაც მოეფინა
საოცნებოდ არე—მარე.
ხელში გეჭირა ვარდის კონა
სურნელოვან საამური,
და ბულბულიც იქ უსტვენდა,
როგორც ტკბილი სალამური.
შენც უსტვენდი ალტაცებით,
სტკბებოდი და გიხაროდა,
რომ ბულბული სიყვარულზე
გიმღეროდა, გიგალობდა..
მოკრძალებით მოველ შენთან,
შენს მახლობლად ვპოვე ბინა.
როცა შეწყდა ბულბულის ხმა,
შეუმჩნევლად ჩაგეძინა.
მთვარის შუქი სიკაკლუცით
ბროლის მკერდზე მოგეფინა,
შენმა სუნთქვამ მიმიზიდა
გულმაც ველარ მოითმინა.
შენს წინ ქედი მოვიხარე
და ამბორი განვიძრახე,
ალტაცებით დაგიკოცნე
მომხიბლავი ნაზი სახე.
მაგრამ.. ამ დროს გამეღვიძა:
თურმე იყო ეს სიზმარი,
არც ბაღი სჩანს, არც ბულბული—
და არც მთვარე სადმე არი!
დავრჩი ისევ გულმოკლული:
გაჰქრა სადღაც შენი სახე.—
სიზმარში რომ გეხვეოდი
სიცხადეში სულ სხვა ვნახე.

**რ. ჯიბილ.**

# ილია ჭავჭავაძე

## მ. გედევანიშვილის გამოცემა 1914 წ.

(დასასრული. იხ. „თ. და ც“. № 27-28)

ახლა გადავშალოთ „ოთარაანთ ქვრივი“ და ვნახოთ მისი დასურათება. ის რკინის დედაკაცი, რომელიც ილიასა ჰყავს დასურათებული, სულ არა ჰგავს აქ დახატულ დედაკაცს, რომელიც სწმენდს ქმრის დატოვებულ ხმალ-ხანჯალს. მაგრამ დავანებოთ ამ სურათს თავი. ჩვენ გადავშალოთ ის სურათი, სადაც ოთარაანთ ქვრივი თავს დასტირის მომაკვდავ შვილს, და იქ, ოთახში დარჩენილ სოსია მეწისქვილეს უკივის: „წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, მარტო მინდა ვიყვეო“ ოთარაანთ ქვრივი, აქ, სცენაზე უშნოდ მოთამაშე მსახიობს უფრო ჰგავს, ვიდრე იმ ოთარაანთ ქვრივს, რომელიც ი. ჭავჭავაძესა ჰყავს დახატული. ამასთანავე, ისეთი „მოდის კურტკა“ აცვია, რომ თქვენი მოწონებული. ხოლო რაც შეეხება მეწისქვილეს, აქ ალბად ბ-ნ ჭრინევსკის მისი გარკვეულად დახატვა უფრო სდომებია, ვიდრე ი. ჭავჭავაძის სიტყვიერი სურათის ფერადებით განსხიერება. აქ სოსია მეწისქვილე ბნელ კუნჭულში უნდა იყვეს ატუზული, რადგან იგი: „როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა, და აქ, **ბნელ კუთხეში**, ქურდულად მომალულიყო“ — და სურათში, „ბნელ კუთხეში ქურდულად“ კი არა, სწორედ შუა ადგილას, სათვალსაჩინო ადგილას არის გამოჭიმული, სწორედ მაგიდის გვერდით. გასაკვირველი ხდება, როგორ ვერ შეამჩნია იგი ოთარაანთ ქვრივმა? ყველა ეს ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს და მკითხველში უკმაყოფილებას ჰბადებს.

ეს მხოლოდ მოკლე აღნუსხვა იყო ილუსტრაციის ღირსება-ნაკლისა. მოკლე, რადგან წერილის სივრცემ ისედაც ძალიან გაიწია, და მისი ფართოდ განხილვა აქ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

რამდენიმე სიტყვა წიგნის სხვა მხარეებზედაც: შრიფტი კარგია. კარგად არის ნახმარი სხვადასხვაობა ლექსებისა და მოთხრობების შრიფტისა. მასალა ლამაზად არის დალაგებული და გამოცემაც სისრულით შემუშავებული. წიგნს აქვს დართული ბიოგრაფია, გრ. ყიფშიძის მიერ დაწერილი, და კრიტიკული განხილვა კ. აბაშიძისა. საზოგადოდ ორივე წერილი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. წიგნს აქვს დართული შენიშვნები, სადაც აღნიშნულია თვე, წელიწადი და რიცხვი ნაწარმოების დაწერისა, ისე, რომ ქრონოლოგია სასტიკად არის დაცული. მაგრამ კომისიის მუშაობის მთავარ ნაკლს შეადგენს ისიც, რომ არ არის აღნიშნული თარიღი ნაწარმოებთა პირველად დაბეჭდვისა. ეს კი ძლიერ საჭირო იყო. რაც შეეხება კორექტურულ შეცდომებს, ძალიან ცოტაა, მაგრამ სამაგიეროდ ფრიად სათვალსაჩინო კი. ასე, მაგ. ორ თუ სამ ადგილას მთელი წინადადებათა რიგი ორჯელ არის გამეორებული, ე. ი. ზედი-ზედ მოყოლებული (მაგ. 254 გვ.) რაიცა ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გამოცემაში მოყვანილია ნაწარმოებთა სხვა და სხვა ვარიანტები, დღემდე გამოუქვეყნებელი, აგრეთვე საპოლემიკო ხასიათის ლექსები, რაიცა ძლიერ ხელს უწყობს მწერლის გაცნობას, გათვალისწინებას, მაგრამ ამ მხრივ გამოცემის განხილვა არ გვიკისრია შემდეგისათვის შეიძლება დაუბრუნდეთ.

საზოგადოდ დიდი სიხარულით უნდა შევხვდეთ ბ-ნ მიხეილ გედევანიშვილის ნაღვაწს, რომ ოცნებას ხორცი შეასხა, და დიდებული მწერლის საგანგებო გამოცემა მიუძღვნა საზოგადოებას. ნაკლი დიდი სდევს ამ გამოცემას, მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს. ახალი საქმისთვის ჯერ შეუჩვეველნი ვართ, შევეჩვევით,—ნაკლსაც ადვილად მოუღებთ ბოლოს იმედია, ბ-ნი მიხ. გედევანიშვილი კვლავ განაგრძობს ამ მისაბაძ საქმეს, და მოკლე ხანში მკითხველ საზოგადოებას დაასაჩუქრებს მეორე ტომით, ამგვარივე გამოცემისა. ეს იქნება ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-კრიტიკული ნაწერები. ამასთანავე სასურველია გამოცემა დემოკრატიული, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული ჩვენს პრესაში. ამ იმედით სალამს უძღვნი ბ-ნ მიხ. გედევანიშვილს.

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# ქართულ სახალხო თეატრის ისტორია

(იხ. „თ. და ც.“ № 26)

რაც დრო გადიოდა, „ხელოსანთა ამხანაგობას“ უფრო და უფრო ემატებოდენ თანამგრძნობელნი. გარედანაც ძრიელ ბევრი უწყობდა ხელს.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართა ანდრეევის ქუჩაზე, აბაზოვის სახლში. ამწარმოდგენაზე ამხანაგობას შემოუერთდა სახელოსნო სასწავლებელის მოწა-



**ივ. მჭედლიშვილი**
(ქიზიყელი)
ძველი სცენის-მოყვარე, 90-იან წლებში დაიწყო სასცენო მუშაკობა, ხოლო 1903 წ. სხვებთანერთად ავლაბარში მოაწყო სახალხო წარმოდგენების მმართველი დასი.

ფე ამირანა ნიკოლოზოვი. მას მერე წარმოდგენა გაიმართა ხარფუხში, ნიკოლოზოვის სახლში: წარმოდგენილი იქმნა **„რაც გინახავს ველარ ნახავ“**. ამ წარმოდგენაზე ამახნაგობას მოემატა ვანო სუხიშვილი, იმავე სკოლის მოწაფე. აქაც სცენის მოყვარენი დიდის ხალისით ეკიდებოდენ თავიანთ დაწყებულ საქმეს, სიამოვნებით ასრულებდნენ ამა თუ იმ როლს და, როგორც მოგახსენეთ, ქალის როლის აღმასრულებლადაც კაცები გამოდიოდნენ; მით უფრო შვენოდათ, რომ ჯერ წვერ-ულვაში არავის ჰქონდა ამოსული. ამ ხანებში გარდაიცვალა სანდრო დავითაშვილი. ამხანაგობაში დარჩნენ: ისაკა ძნელაშვილი, ვასო თევდორაშვილი, ამირან ნიკოლოზოვი, საქრო მჭედლიშვილი, ვანო სუხიშვილი და გიორგი ჯაბაური. შემდეგი წარმოდგენა გაიმართა ანტონოვის ქუჩაზე ვლადიმეროვის სახლში, ქართველების სასათვლათ-

სთან მახარაშვილის სახლში, კირობნის ქუჩაზე პარიკმახერ მურადოვის სახლში, და ყორღანოვის სახლის უკან, მეჩექმის სახლში.

ასე მართავდა წარმოდგენებს ეს ამხანაგობა 1890 წ-ან 1892 წ-ს ნახევრამდის, სანამ ხორველობა არ შეუშლიდა ხელს. ხოლო ხორველობის გათვების შემდეგ ამხანაგობა ისევე შეგროვდა და შეუდგა ძველებურად წარმოდგენების მართვას.

სწორედ ამავე ხანებში ე. ი. 1891 წ ავლაბარში შესდგა ცენის მოყვარეთა სხვა ამხანაგობა გიორგი ელისოვის, გიორგი მურმანიშვილის! და დათიკო ხოსროევის მეთაურობით. ამ ამხანაგობაში შედიოდნენ მიშა თუშმელიშვილი, ბესო მაისურაძე, გიორგი ჩიქოვანი, გ. ხუციევი, გიგაური, ვანო მაისურაძე და სხ. ესენი ხშირად მართავდენ უფასო წარმოდგენებს ილუა ელისოვის და სხვათა კერძო სახლებში. ამ წარმოდგენებშიაც ქალების როლებს ხშირად კაცები ასრულებდნენ. ამათ დასდგეს. **„რაც გინახავს ველარ ნახავ,“ „არც აქეთ არც იქით“, „ადვოკატთან“ „ადვოკატი მელაძე“ „ბაიყუში“ „ძუნწი“** და სხ. ამ წარმოდგენებში ამხანაგობის თხოვნით დროგამოშვებით რეჟისორობდნენ უფასოდ ჩვენი ნიჭიერი არტისტნი .ვლ. ალექსი-მესხიშვილი და კოტე ყიფიანი. ეს ამხანაგობა ცოტა ხნის შემდეგ დაიშალა.

1893 წ. ავლაბარში შესდგა ხელახლა ახალი სცენის-მოყვარეთა ამხანაგობა ბესო მაისურაძის, ვანო იმედაშვილის, ლევან პოდოსოვის და ასოთამწყობ ვანო მჭედლიშვილის მეთაურობით. ამ ამხანაგობას შეუერთდენ ავლაბრის პირველი ამხანაგობის სცენის მოყვარენი: გიორგი ელისოვი, გიორგი მურმანიშვილი, მიშა თუშმელიშვილი, ხუციშვილი, გიორგი ჩიქოვანი, ბოლოს ლევან ბალაშვილი, და გუურქა ფირუმიანი. იმართებოდა წარმოდგენები ბესო მაისურაძის, დარო ვართანოვის და გიორგი ჩიქოვანის სახლებში, ზოგჯერაც ავლაბრის ქალთა სკოლის დარბაზში და თბილისის პოლკის კაზარმაში. ამ ამხანაგობაში ძრიელ დიდი შრომა მიუძღვის ბესო მაისურაძეს, რომელიც არაფერს ზოგავდა წარმოდგენის კარგა მოწყობისათვის.

**გიორგი ჯაბაური**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**ლევან ბალაშვილი**

ძველი სცენის მოყვარე, პირველად გამოვიდა თბილ. პოლკის სცენაზე 1899 წ. 22 ენკენ. შემდეგ მურაშკოს თეატრსა და ავლაბრის არაქსიანეულის თეატრში მონაწილეობდა, ამ ჟამად სახალხო სახლშია.



**მიხეილ თუშმელიშვილი**

ძველი სცენის მოყვარე მოკარნახე. 90-იან წლებიდან მოყოლებული ავჭალის აუდიტორიიდან დაუზარელად ემსახურებოდა და ემსახურება სახალხო თეატრს, როგორც მოკარნახე და სხ.

# საუბარი ბეჭდვითი საქმის ხელოვნებაზე

## I

ჩვენშიაც რომ არსებობდეს ბეჭდვითი საქმის შესასწავლი (სტამბის მუშისათვის) სკოლა, ანუ პროფესიონალური დაწესებულება, როგორც უცხოეთშია, მაშინ ბეჭდვითი ხელოვნება ბევრად უკეთესს პირობებში იქნებოდა ჩაყენებული. გერმანიაში ამ დარგის ხელობას შესასწავლად, გარდა მრავალრიცხოვანი პირველ დაწყებითი სკოლისა, არსებობს საშუალო სასწავლებელი და აკადემიაც. ასევეა სხვა ქვეყნებშიაც. რუსეთშიაც არსებობს ორი პირველდაწყებითი სკოლა. ამას გარდა კიდევ არის: ბეჭდვითი საქმის სკოლა რუსეთის საიმპერატორო-სატეხნიკო საზოგადოებისა, ტეხნიკური სკოლა სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციასთან, „ნოვოე ვრემიას“ სტამბისა და მოსკოვის სასინოდო სტამბისა. ყველა აქ ასწავლიან სტამბის საქმეებს.

ამ რამდენიმე სკოლის მეოხებით რუსეთში ბეჭდვითი ხელოვნების მუშაკნი ცოტად თუ ბევრად განვითარებული არიან სტამბის საქმეში.

ზემოხსენებულს სკოლებში ასწავლიან: საღმრთო სჯულს, ანგარიშს, გეომეტრიას, ხაზვას, ისტორიას და გეოგრაფიას, ასოების ჩამოსხმას, აწყობას და ბეჭდვას, ბეჭდვითი საქმის მექანიკურსა და ქიმიურს ტეხნოლოგიას, უცხო ანბანს, ხატვას, მათემათიკურს ნიშნებს და ფორმებს, ფიზიკას, ქიმიას და მექანიკას, ფოტოგრაფიული სურათების გადაღებას, ლითონზე სურათების ამოჭრას და ლითოგრაფიულ ხელობას. ყველა ამისათვის სასწავლებელში აქვთ შესაფერი მოწყობილება და იარაღი.

ტეხნოლოგიური სკოლა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციასთან (პეტროგრადში) გაიხსნა 1903 წ. სკოლაში არის მოსამზადებელი და სამი სპეციალური კლასი. სწავლა შეუძლიან ყველას განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოების 8-დან 10 წლამდე, მხოლოდ პირველ მოსამზადებელ კლასებში. დანარჩენში მიიღებიან ის პირნი, ვისაც სურს ბეჭდვითი საქმის ხელობა სწავლა უფასოა.

რუსთის საიმპერატორო-სატეხნიკო საზოგადოების ბეჭდვითი საქმის სკოლა (პეტროგრადში) დაარსებულია 1883 წ. სამზრუნველო საბჭოში შედიან ტეხნიკური განათლების წარმომადგენელნი და დამფუძნებელნი წევრნი. დამფუძნებლად ითვლებიან პეტროგრადიული რამდენიმე მსხვილი მესტამბე. ესენი ყოველწლიურად იხდიან სკოლის სასარგებლოდ 50 მან., ხოლო ერთდროულად 1000 მან მეტი შეუძლიანთ ყოველ წლიურად თავიანთ მხრივ გზავნონ 5 მოწაფე. გარეშე პირნი კი იხდიან თვეში 2 მან. სწავლა 4 წელიწადს გძელდება. ამ სკოლაში 1911—1912 სამოსწავლო წლის განმავლობაში სწავლობდა 129 კაცი. ამათში სწავლა დაამთავრა და სწავლის სიმწიფის მოწმობა მიიღო 16 კაცმა. სწავლობდნენ 12-დან 19 წლიანები. 1885 წ. სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის გამოფენაში ამ სკოლამაც მონაწილეობა მიიღო, სადაც საკუთარი პავილიონი ჰქონდა ბეჭდვითი ხელოვნების ნაწარმოებისა.

ბეჭდვითი საქმის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი (კიევში) არსებობს 1903 წ. სკოლას ინახავს რამდენიმე კიეველი მესტამბე. მარტო 1910—1911 სამოსწავლო წელს შემოსავალი იყო 11,328 მ. 22 კ., რომელშიაც შედის კიევის ქალაქის საბჭოს შეწირულება 333 მან. და კერძო პირთაგან 500 მან. დანარჩენი მოწაფეთაგან შემოტანილია. ამ სასწავლებელში უმთავრესად სტამბის მუშები სწავლობენ. სკოლა ორ კლასიანია. მეცადინეობა იწყება ნაშუადღევის 2-დან 7 საათამდე.

სკოლა გაზ. „ნოვოე ვრემიას“ სტამბისა (პეტროგრადში) დაარსებულია 1884 წ. განსაკუთრებით სტამბის მუშებისათვის. სკოლაში მიიღებიან ვაჟები, რომელთაც გათავებული აქვთ პირველდაწყებითი სკოლა მაინც. სწავლა 4 წ. არის. ამ სასწავლებელმა 1895 წ. თავისი ნაწარმოები გაგზავნა სრულიად რუსეთის პირველ ბეჭდვითი საქმის გამოფენაზე, 1896 წ. ნიჟნინოვგოროდის სამხატვრო-სახელოსნო გამოფენაზე და 1900 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენაზე. სამივე გამოფენაზე მიიღო ჯილდო. დაარსებიდან 25 წლის განმავლობაში სწავლა დაამთავრა 154 კაცმა, რომელთა უმეტესი ნაწილი ამავე სტამბაში დარჩა და დღესაც მუშაობს.

**ივ. მჭედლიშვილი**

# ამდროული ქართული

(ორი კონდუქტორის საუბარი ვერის დაღმართზე)

**პირველი.** კაცო, გუშინ „ჩეტვორტი“ ნომერი „აპაზდანიით“ გამოვიდა „სტანციიდან?

**მეორე.** მეც იქ ვიყავი, შე კაცო, „დევიატი“ ნომერმა გაასწრო და „ჩეტვორტი ვტაროი პუტში“ მოხვდა, მერე რის ვაი-ვაგლახით „დაანაზადტეს“ უკან და გადაიყვანეს „პერვი პუტში“. მერე იქიდან „პერვიმ“ მოუსწრო და კინაღამ „სტალკნავენიე“ მოხდა.

**პირველი** დღეს ქე „დუუშტრაფია ნაჩალნიკს“ ის ვატმანი.

**მეორე.** კაცო, „პოლჩასა აპაზდანიით“ ვაგონს გამოუშობ, „დაგშტრაფავს“, აბა რას გიზამს! გუშინ „ნაჩალნიკმა“ ყველა „პუტებში ასმოტრია“ მოახდინა და „პომოშნიკისთვინაც ზამეჩანიე“ მიუცია.

**ი. ზარდალიშვილი**

# წვრილი ამბები

## სამშობლოში

**სეზონი ქართული თეატრისა** დაიწყება დღეს. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა “მსხვერპლი„ ალ. წუწუნავას რეჟისორობით. „მსხვერპლი“-ს უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე, ი. ზარდალიშვილი, ა. ყალაბეგიშვილი დასხ. საუკეთესო ძალნა დასისა. პიესა წარმოდგენილი იქნება ახალი დეკორაციებითა და ალ. წუწუნავას მიზან-სცენებით.

**ქართული დასის რეჟისორებს** განზრახვა აქვთ მსახიობის ტაშისკვრით გამოწვევა ყოველ მოქმედების შემდეგ, მოსპონ, მხოლოდ წარმოდგენის გათავებისას შეუძლიანთ მსახიობთ გამოვიდნენ თავის დასაკრელად. ამითი ჰსურთ წარმოდგენის მთლიანი შთაბეჭდილება დაიცვან და დროც მოიგონ, რომ წარმოდგენა არ გაჭიანურდეს.

◆ **დ. კარბელაშვილმა** დასწერა პიესა „ამირანი“ ქართულ ხალხურ თქმულებაზე დაფუძნებული.

◆ **რეჟისორი ალ. წუწუნავა „ღალატს„** წრევანდელს სეზონში საკუთარის ახსნა-განმარტებით გაასახიერებს, ისე, როგორც სახალხო სახლში დასდგა მანვე, ხოლო უკეთესი ელფერით და ახალის მიზანსცენებით, რომელიც დღემდე არა სცნობია ქართულ სცენას. მომქმედ პირთა სურათები და დეკორაციების ესკიზები უკვე იხატება.

◆ **რეჟისორი მ. ქორელი** საგანგებოდ იკვლევს და ამზადებს ახალ დასადგმელ პიესების „ავგაროზის"და „ქვის მთლელი-ს“ მოწყობილობასა,—ტანისამოსების და დეკორაციების ესკიზებს

◆ **ტრ. რამიშვილის** ახალ პიესას „სალომეს ოჯახი“ წელს რეჟისორი შალვა დადიანი დასდგამს ბაქოს სცენაზე.

◆ **ქუთაისის თეატრის გამგე** ვალ. გუნია მოწადინებულია, რაც შეიძლება, მხატვრულად დაიდგას პიესები. ამ მიზნით თბილისში ყოფნის დროს ეძიებდა ქუთაისის თეატრისთვის პროჟექტორ-რეფლექტორს.

**ქუთაისის დასის რეჟისორი ვ. შალიკაშვილი** იწვევს სცენაზე თანამშრომლობის მსურველთ

◆ **დ. კავსაძის პიესა** „მეფე არლეკინი“ წელს დაიდგმის ქუთაისის სცენაზე.

◆ **ვალ. გუნია** 17 ენკენ. ქუთაისს გაბრუნდა.

◆ **ბაქოს დრამატიული წრე** რეჟისორ შალვა დადიანთან ერთად ბეჯითად შეუდგა სამზადისს და ცდილობს, რაც შეიძლება ყოველმხრივ რიგიანად მოაწყოს წარმოდგენები. დასი მსახიობთა და სცენის მოყვარეთაგან შესდგება.

◆ **შალვა დადიანმა**, ბაქოს დასის რეჟისორმა, წრეს საგანგებო რეპერტუარი წარუდგინა, უმეტეს ორიგინალურ პიესებიდან შემდგარი,

◆ **მომღერალი ივ. სარაჯიშვილი და ლოტბარი ივ. პ. ფალიაშვილი**, რომელნიც ყაზანს იყვნენ მიწვეულნი, ამ ჟამად აღარ მიდიან რადგან ომიანობის გამო ანტრეპრენიორმა ფორს-მაჟორი (პირობა დარღვეულად) გამოაცხადა და ნახევარი ჯამაგირი შეაძლია, რასაც ვანო სარაჯიშვილი და ივ. ფალიაშვილი არ დათანხმდენ.

◆ **ნაძალადევის თეატრში** ხუთშაბათს, 11 ენკენ. შესდგა სცენის მოყვარეთა და გამგეობის წევრთა კრება, რომელმაც გადასწყვიტა: 1 სეზონი დაეწყო 20 ენკენის. 2) რაკი გამგეობას რეჟისორის მოსაწვევად სათანადო თანხა არა აქვს. ჯერ-ჯერობით წარმოდგენების მოწყობა გამოცდილ სცენისმოყვარეებმა იკისრონ და 3) მოიწვიონ ინტელიგენტი სცენისმოყვარე ქალნი და ვაჟნი.

◆ **სოფ. პატარძეულის სცენას** წრეულს იანვარში შეუსრულდა არსებობის 35 წელი. პირველად დაუდგამთ გ. ერისთავის „უჩინ-მაჩინის ქუდი‘‘ და მას აქედ წელიწადში ორი-სამი წარმოდგენა იმართება. პირველად დადგმულ წარმოდგენაში თამაშობდნენ: იერ. გულისაშვილი, ნიკ. ლეონიძე, ან. ჯილაური, ფიცხელაური და სხ.

**რ უ ს თ ა შ ო რ ი ს**

◆ **მოძრავი თეატრი** მოაწყეს მოსკოვს და მის მიდამოებში, დაჭრილ მეომართათვის საავადმყოფებში წარმოდგენების გასამართავად. დაიდგმის პატარა პიესები (მინიატიურები), სამხიარულო შინაარსისა. წარმოდგენა გაგრძელდება $1^1/_2$—2 საათს. წარმოდგენები უმთავრესად დღისით გაიმართება. მსახიობნი ერთი საავადმყოფოდან მეორეში ავტომობილებით ივლიან მთელი თვისი მოწყობილებით. წარმოდგენის შემდე მგოსანი სკიტალეცი სანთურზე წაიკითხავს თავის ლექსებს. ეს თეატრი იმოქმედებს ომიანობის გათავებამდე.

◆ **ომიანობის გამო** ბევრი ანტრეპრენიორი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, რისგამო ზოგან დასები დაიშალა. ამიტომ შესდგა სხვილ ანტრეპრენიორთა ამხანაგობა წარმოდგენების სამართავად ისეთ ადგილებში, სადაც დასი აღარ არის. ამხანაგობას ფულით დახმარებს აძლევენ იმ თანხიდან, რომელიც შესდგა მდიდარ ანტრეპრენიორ—მსახიობთა შეწირულებით; ამ საქმეს მსახიობქალმა მ. გ. სავინამ შესწირა 1,000 მ.

◆ **მისაბაძი საქმე** განიზრახეს მუსიკალურ დრამის რეჟისორმა გ. დ. ხლიუსტინმა და მისმა ზოგიერთ მსახურთ: გადაწყვიტეს—დედა-ქალაქის საავადმყოფოებში ჩამოიარონ ხოლმე და ბრძოლისველზე დაჭრილნი მეომარნი გაართონ და სულიერი საზრდო გაუზიარონ.

◆ **მწერალთა და მხატვართა** წრემ გადასწყვიტა ომში დაჭრილთათვის საავადმყოფო მოამზადოს 35 საწოლით. ამავე საავადმყოფოში იქნება რამდენიმე საწოლი მუსიკალურ დრამის თეატრისა.

◆ **მსახიობთა ერთ ჯგუფს** გადაუწყვეტია დაჭრილ მეომართ იმ საავადმყოფოებში, სადაც მორჩენის გზას დასდგომიან, კონცერტები მართოს.

◆ **მამულიშვილური და საქველმოქმედო** წარმოდგენები ხშირად იმართება.

◆ **პატრიოტულ კონცერტების** მართვა განუზრახავთ. პროგრამას უკვე ადგენენ. შემოსავლის ერთი ნაწილი„წითელი ჯვრის“სასარგებლოდ გადიდება.

**გ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა**

◆ **მივიღეთ ახალი წიგნები**: 1) П. Миріанишвили. Практическій курсъ грузинскаго языка“. მეორე შესწორებულ-შევსებული გამოცემა 1914 წ. შეიცავ 343 გვ. ფ. 75 კ. 2) С. Даріани. Грузія послѣ 1905 года 1914 г. 50 ст. ц. 20 к. 3) „თესლ. კეთილი“ სხვა და სხვა წიგნებიდან გამოკრებილი საგულისხმო ნაწყვეტები, მოთხრობები და სხ. შვდ. შუამთის მონასტრის წინამძღვრის არხიმანდრიტის ნესტორის მიერ, თბ. 1913 წ. 148 გვ. ფ. 30 კ. 4) „შენ ხორ სულყველა“ ლექსთა კრებული, შედგენილი და გამოცემული ილიკო რუსსელისა (სავიცკი). თბ. 1914 წ. 56 გვ. 20. კ. 5) „ქართული სიმღერები გუნდისათვის არა ნაკლებ 50 კაცისა წიგ. I. გამოც. მიხეილ კავსაძის. მიერ“.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**



(წ.—28)

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის

**სანატორიუმი**

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

# ექიმები:

**ა. ლ. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

---

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

---

**ვ. დ. ღამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

---

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

---

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

---

**გ. ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іосифу Имедашвили.

(10—8)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—8)

**იმერეთი** **ყოველდღიური სალიტ.-სალ. გაზეთი**

ახალ რედაქციით და თანამშრომლებით

**გაზეთის ფასი**: წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბაზი, ცალკე ნომერი 5 კაპ.

საზღვარ გარედ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი**: Кутаисъ, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჟღენტი**

**შრომა** **სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი**: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

**დაიბეჭდა და გამოვიდა „ნაკადული“-ს გამოცემა**

**ქართული ანბანი**

**შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, ნაწ. I.**

ფასი 80 კ.

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11–79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 21 სექტემბერს | **სინემატოგრაფი, მუსიკა' ცეკვა.** |
| ორშაბათს 22 სექტემბერს | **სინემატოგრაფი.** |
| სამშაბათს 23 სექტემბერს | **სინემატოგრაფი, მუსიკა.** |
| ოთხშაბათს 24 სექტემბერს | **საზანდარი.** |
| ხუთშაბათს 25 სექტემბერს | **საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.** |
| პარასკევს 26 სექტემბერს | **საზანდარი; ცეკვა.** |
| შაბათს 27 სექტემბერს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |
| კვირას 28 სექტემბერს | **სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.** |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

---

## ქართული თეატრი

კვირას, 21 სექტემბერს 1914 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ი. გედევანიშვილის**

# „მეხვერვლი“

დრამა 3 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ. ქ. ბეჟანიშვილი, თოიძე, ლოლუა, პიერეტტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი. ბ. ბ **ვასო აბაშიძე,** ალუღიშვილი, არაბიძე, **გამყრელიძე,** გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მამულაიშვილი, სარაული, ყალაბეგიშვილი, ქიაურელი, ფრონისპირელი შანშიაშვილი და თანამშრომელთა მუდმივი ჯგუფი.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 საათ.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**

**ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზ-სა.**

მზადდება წარმოსადგენად: „ქვის მთლელნი“, „ავგაროზი“, „უკანასკნელნი“, „იორიოს სული“ და სხ.

## ნოქართა კლუბი

ორშაბათს, 22 ენკენ.

ქართ. სცენის მოყვარეთაგან მსახიობ **ი. ივანიძის** რეჟისორობით და მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

# სიძე-სიმამრი

ფარსი 3 მოქ. ვ. გუნიასი

დასაწყისი საღ. 9 ს.

სექციის მორიგი წევრი **რ. ჯიბლაძე**

სტამბა **„სორაპანი“**

Типографія **„Сорапань“**